

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია  
**GEORGIAN BAR ASSOCIATION**  
**WWW.GBA.GE**



**GBA-Newsletter**

**თებერვალი 2017**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაციამ ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE) PECO კომიტეტის სხდომაში მიიღო მონაწილეობა



23 თებერვალს, ვენაში ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE) PECO კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელსაც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაცია ესწრებოდა, დელეგაციას ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ხელმძღვანელობდა, რომლის შემადგენლობაში ასოციაციის საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი და ადვოკატთა უფლებათა დაცვის კომისიის წევრი ფრიდონ სიხუაშვილი შედიოდნენ.

(PECO) კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანმა დავით ასათიანმა საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა, სადაც ისაუბრა საქართველოში ადვოკატთა კორპუსის განვითარების, სირთულეების, განხორციელებული პროექტებისა და გეგმების შესახებ. მან კომიტეტის წევრებს გააცნო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილი ცვლილებები, რაც მოიცავს საკონსტიტუციო დონეზე ადვოკატთა უფლებების დაცვას და გარანტიებს. ასევე, საუბარი შეეხო ადვოკატთა უფლებების დარღვევის ფაქტებს საქართველოში, ადვოკატების უკანონო დაკავება-დაპატიმრებას. უდიდესი ყურდღება გამახვილდა იმ პოლიციელების დაუსჯელობაზე, რომელნიც პოლიციის სტრუქტურებში დღემდე აგრძელებენ მუშაობას.

სხდომის ბოლოს, დავით ასათიანმა უპასუხა შეკითხვებს და სხდომაში მონაწილე ევროპის ქვეყნების დელეგაციებმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას თანადგომა აღუთქვეს, რაც მომავალში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებით გამოიხატება.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს (CCBE), წარმოადგენს 32 წევრი და 13 შემდგომში ასოცირებული და დამკვირვებელი ქვეყნის ასოციაციებსა და იურიდიულ გაერთიანებებს, შესაბამისად, ერთ მილიონზე მეტ ევროპულ ადვოკატს. CCBE არის ევროპული გაერთიანებებისა და იურიდიული საზოგადოებების წარმომადგენელი ევროპულ და საერთაშორისო ინსტიტუტებში.

## მოლდოვას ადვოკატთა ასოციაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გამოცდილებას პრაქტიკაში ნერგავს



Uniunea Avocaților din Republica Moldova  
Союз Адвокатов Республики Молдова  
Moldovan Bar Association

To : Mr.Zaza Khatiaşvili  
Chairman of Georgian Bar Association

To: Mr.Irakli Kandashvili  
Executive Board Member and Chairman of Education Council

Dear Sirs,

Let me hereby express my gratitude towards Georgian Bar Association.

On behalf of Moldovan Bar Association want to thank Georgian Bar Association for its support for Institutional Development of Moldovan Bar Association and thank your institution and Mr.Kandashvili for personal involvement in workshops in October and November 2016 dedicated to Institutional Development of Structure and Standards of Continuing Legal Education System of Moldovan Bar Association.

I want to underline that sharing of Georgian Bar Association experience in CLE regulations and your Georgian model (existing and future plans) of Entrance into Profession and specifically your current electronic Bar Exam system of Georgian Bar Association is of high

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური განვითარების მოდელმა, რომელიც არაერთხელ იყო აღიარებული პოსტსაბჭოთა სივრცეში და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, როგორც ერთერთი წარმატებული და ეფექტიანი, კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა მოლდოვაში.

მოლდოვას ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინა ლოზანის სამადლობელო წერილში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისადმი ნათქვამია:

„მოლდოვის ადვოკატთა ასოციაციის სახელით გვსურს მადლობა გადავუხადოთ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას მოლდოვას ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერისათვის, მადლობა გადავუხადოთ თქვენს ორგანიზაციას და ბატონ ირაკლი ყანდაშვილს პირადად მისი უშუალო ჩართულობისათვის 2016 წლის 1 ოქტომბერ-ნოემბერში ორგანიზებულ სემინარში, რომელიც ეძღვნებოდა თემას: მოლდოვას ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური განვითარება, განგრძობადი იურიდიული განათლების სტანდარტები და სტრუქტურა, მსურს ხაზგასმით ავლნიშნო, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გამოცდილების გაზიარებამ განგრძობადი იურიდიული განათლების რეგულაციების, კუთხით და პროფესიაში შემოსვლის ქართული მოდელი (არსებული და სამომავლო გეგმები), განსაკუთრებით კი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკვალიფიკაციო გამოცდების ამჟამინდელი ელექტრონული სისტემა მეტად ღირებულია მოლდოვას ადვოკატთა ასოციაციის სამომავლო განვითარების თვალსაზრისით“.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აქტიურად გააგრძელებს საკუთარი გამოცდილების საერთაშორისო დონეზე გაზიარებას და მაღალი პროფესიული სტანდარტის ქვეყანაში დანერგვას.

## იხილეთ მიმაგრებული ფაილი

ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს წერილით მიმართავს



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ საკანონმდებლო წინადადებებს ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE) პრეზიდენტი რუთვენ გემელი ვს გამოეხმაურა: „ CCBE-ისთვის ერთერთი პრიორიტეტული საკითხია, რომ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო განვითარების პროცესში განახორციელოს კონსულტაციები ადგილობრივ ასოციაციებთან. ამასთან დაკავშირებით,

ჩვენ მივიჩნევთ, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანოს იურიდიული პროფესიის კონსტიტუციურ ფარგლებში ჩამოყალიბებაში.

მნიშვნელოვანი ისაა, რომ შემოთავაზებული ცვლილებები უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, კერძოდ, შეიცვალოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტის ჩანაწერი შემდეგნაირად: „დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველა პირს აქვს უფლება დაიცვას საკუთარი უფლებები და თავისუფლებები პირადად ან/და ადვოკატის მეშვეობით, ხოლო, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე“. მოქალაქეთა დაცვისა და უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული დემოკრატიის არსებობისათვის. ამრიგად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სურვილია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლში მოცემული სიტყვა „დამცველი“ შეცვალოს ტერმინით - „ადვოკატი“.

ამასთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია გამოდის ინიციატივით, რომ ადვოკატთა უფლებები კონსტიტუციის დონეზე იყოს დაცული, აღნიშნული კი განხორციელდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-5 თავში (სასამართლო ხელისუფლება) ახალი 911 მუხლის დამატებით, შემდეგი ფორმულირებით:

„1. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ადვოკატებმა შეასრულონ თავიანთი პროფესიული ფუნქციები დაშინების, დაბრკოლების და სხვა არასათანადო ჩარევის გარეშე.

2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ, ერთიან და თვითმმართველ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიაში მიღების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების დამკვიდრებას, თავისი წევრების პროფესიულ განვითარებას, ადვოკატის მიმართ შევიწროვებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციასა და პროფესიული ღირსების დაცვას.

3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით.“

საკონსტიტუციო ცვლილებების აღნიშნული სულისკვეთებიდან გამომდინარე, ჩვენ ასევე მხარს ვუჭერთ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ შემოთავაზებულ ცვლილებას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში:

მუხლი 440 წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვა სამოქალაქო პროცესში:

პირებს, რომლებიც არ არიან გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელებაროგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლებისა – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე.

მუხლი 53 სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეებს შორის.

1. ქონებრივი და არაქონებრივი დავის შემთხვევაში, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს–სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზეც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი

გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში.”

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს (CCBE), წარმოადგენს 32 წევრი და 13 შემდგომში ასოცირებული და დამკვირვებელი ქვეყნის ასოციაციებსა და იურიდიულ გაერთიანებებს, შესაბამისად, ერთ მილიონზე მეტ ევროპულ ადვოკატს. CCBE არის ევროპული გაერთიანებებისა და იურიდიული საზოგადოებების წარმომადგენელი ევროპულ და საერთაშორისო ინსტიტუტებში.

## იხილეთ მიმაგრებული ფაილი

### ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის საჯარო ლექცია ჩატარდა



ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის საჯარო ლექცია ჩატარდა. შეხვედრის თემას ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა, მისი მნიშვნელობა და სარგებლობის წესები წარმოადგენდა. ადვოკატებს აღნიშნულ საკითხზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორმა დავით სოლომონიამ და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ევროინტეგრაციის პროგრამის მენეჯერმა ვანო ჩხიკვაძემ.

შეხვედრა პროექტის „მეტი ინფორმაციისთვის“ ფარგლებში გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავს საინფორმაციო შეხვედრებისა და ლექციების ჩატარებას სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან ვიზის ვიზერალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ სტრასბურგში ადვოკატთა ინსტიტუციური დევნა გააპროტესტა



10 თებერვალს, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს შესასვლელთან ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ქართველი ადვოკატების დევნა გააპროტესტა.

ზაზა ხატიაშვილმა სტრასბურგში, ევროპის საბჭოს პოლიტიკური დევნილების დაფაზე პოლიტიკური პატიმარი ადვოკატების ნათელა გოდერიძის და მზევინარ კოსტავას სურათები გააკრა. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის განცხადებით, პოლიტპატიმარი ადვოკატების ნათელა გოდერიძის და მზევინარ კოსტავას სურათები მათ უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებამდე სტრასბურგში დარჩება როგორც ბიძინა ივანიშვილის ფეოდალური რეჟიმის სიმბოლო. როგორც სიმბოლო, პროკურატურის დანაშაულებრივი უმოქმედობისა, როგორც სიმბოლო, „მურუსიძეების“ სასამართლოსი.

ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, 62 წლის პენსიონერ ქალბატონზე, ადვოკატზე წინასწარი პატიმრობის შეფარდება, რომელსაც დღემდე ორი სასამართლო პროცესი აქვს, ეს არის უზნეობის, უკანონობის და სიბინძურის დემონსტრირება. ადვოკატებთან ამგვარი მოპყრობა დამახასიათებელია ავტოკრატიული, ფეოდალური რეჟიმებისთვის საითკენაც მიგვაქანებს ბიძინა ივანიშვილი.

ზაზა ხატიაშვილმა პოლიტიკური დევნილების დაფაზე გააკრა ადვოკატების გიორგი მდინარაძის, ალქსანდრე ფირცხალაიშვილის, მუხან ღურჯაიას სურათები, რომლებიც საქართველოში გამეფებული პოლიციური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე მომდევნო აქციას 24 თებერვალს ავსტრიის დედაქალაქში, ვენაში ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტების შეკრებაზე გამართავს.

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ პარიზში საპროტესტო აქცია გამართა



08 თებერვალს, პარიზში, საქართველოს საელჩოს წინ, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ცნობილ ფრანგ ადვოკატებთან ერთად საპროტესტო აქცია გამართა თემაზე: „საქართველოს ხელისუფლებამ შეწყვიტოს ქართველი ადვოკატების დევნა“.

ზაზა ხატიაშვილი მოითხოვს, ქართველ ადვოკატებთან მიმართებაში დაცული იყოს გაეროს კონვენციის პრინციპი და ქართველმა ადვოკატებმა საადვოკატო საქმიანობის განხორციელება დაშინების, ზეწოლის და არასათანადო მოპყრობის გარეშე შეძლონ.

ზაზა ხატიაშვილმა და ფრანგმა ადვოკატებმა გააპროტესტეს 62 წლის ადვოკატის ნათელა გოდერიძის და მზევინარ კოსტავას დაუსაბუთებელი წინასწარი პატიმრობა და მოუწოდეს ხელისუფლებას ადვოკატების დაუყოვნებლივი გათავისუფლებისკენ წინასწარი პატიმრობიდან. ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა, რომ მზევინარ კოსტავა და ნათელა გოდერიძე არიან ხელისუფლების პირადი, პოლიტიკური პატიმრები და მოუწოდა ფრანგ კოლეგებს მიმართონ საფრანგეთის პრეზიდენტს ჩაერთოს პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ადვოკატების გათავისუფლებაში.

ადვოკატებმა ერთობლივად მოითხოვეს ადვოკატების: გიორგი მდინარაძის, ალქსანდრე ფირცხალაიშვილის, მუხრან ღურჭკაიას მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე ეფექტური გამოძიება და დამნაშავე პოლიციელების დასჯა კანონის მთელი სიმკაცრით. გიორგი მდინარაძის წამება არის შავი ლაქა საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურების არსებობის ისტორიაში. 21-ე საუკუნეში პოლიციის დაწესებულებაში, არასრულწლოვანი 14 წლის მოქალაქის დასაცავად სახელმწიფოს მიერ გამოძახებული ადვოკატი, ხელბორკილებით დააბა და აწამო, ეს არის ქვეყნის სირცხვილი. საქართველოს პროკურატურამ არ დააკავა ის პირები ვინც უკანონოდ დააკავა და ბორკილები დაადო ადვოკატ გიორგი მდინარაძეს. პროკურატურის დანაშაულებრივი უმოქმედობის გამო, პოლიციელები დღესაც აგრძელებენ მუშაობას პოლიციაში. მამუკა მდინარაძის ინციდენტიდან რამოდენიმე კვირაში დააკავას მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი მუხრან ღურჭკაია ადმინისტრაციული წესით, რომელიც დაკავების მომენტში ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. დაახლოებით 6 თვიანი განხილვების შემდეგ, სასამართლომ უკანონოდ სცნო ადვოკატ მუხრან ღურჭკაიას დაკავება. ადვოკატმა მიმართა სამართლებრივ პროცედურებს და მოითხოვა მისი უკანონოდ დაკავების ფაქტზე დამანაშავე

პოლიციელების დასჯა. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს მიმართა, რომ მუხრან ლურჯიას დაკავება სავარაუდოდ პირდაპირ კავშირშია გიორგი მდინარაძის წამებასთან, ვინაიდან მუხრან ლურჯია ყველაზე მეტად აქტიურობდა გიორგი მდინარაძის წამების ფაქტზე და ითხოვდა მოძალადე პოლიციელების დასჯას. მურან ლურჯია გიორგი მდინარაძის წამების ფაქტზე შეხვდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს, რამაც სავარაუდოდ გაანაწყენა ხელისუფლება. აქაც სახეზე გვაქვს პროკურატურის დანაშაულებრი უმოქმედობა.

2016 წლის 21 დეკემბერს პოლიციის თანამშრომლებმა სცემეს ადვოკატ ალექსანდრე ფირცხალაიშვილს, რომელიც მანქანით გადაადგილდებდა 8 თვის ფეხმძიმე მეუღლესთან ერთად. პროკურატურას, ნაცვლად იმისა, რომ პოლიციელებისთვის ბრალი წაეყენებინა ადვოკატის შეურაცხყოფის მიყენებისთვის, 2 თებერვალს ადვოკატს წაუყენეს ბრალი.

საპროტესტო აქციის შემდეგ გადაწყდა, რომ მომავალი აქციები ჩატარდება ვენაში, ბერლინში და ბრიუსელში. ადვოკატები შეთანხმდნენ მომავალი აქციის თარიღზე და იგი გაიმართება ორ კვირის შემდეგ 24 თებერვალს ვენაში. ვენაში იგეგმება ზაზა ხატიაშვილის შეხვედარა ავსტრიის კანცლერის და პრეზიდენტის რაზიდენციაში.



## სასწავლო ცენტრი 2017 წლის თებერვალში მიმდინარე საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი:

- 10 თებერვალი – მტკიცებულების მოპოვება დაცვის მხარის მიერ.
- 13 თებერვალი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები.
- 14 თებერვალი – მოწმის დაკითხვის ახალი წესი.
- 15 თებერვალი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა.
- 16 თებერვალი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა.
- 16 თებერვალი – ადვოკატის როლი მედიაციის განვითარებაში.
- 17 თებერვალი – ადვოკატის როლი მედიაციის განვითარებაში.
- 17 თებერვალი – ეკონომიკური დანაშაულები.
- 18 თებერვალი – მოწმის დაკითხვის ახალი წესი.
- 20 თებერვალი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები.
- 21 თებერვალი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში .
- 22 თებერვალი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები.
- 23 თებერვალი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში.
- 24 თებერვალი – მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.
- 25–26 თებერვალი – ტრენერთა ტრენინგი თემაზე: საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები.

ქუთაისი:

- 20 თებერვალი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები.
- 28 თებერვალი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.

ბათუმი:

- 22 თებერვალი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები.
- 27 თებერვალი – ეკონომიკური დანაშაული.

## 2017 წლის მარტში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი

- 1 მარტი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები.
- 2 მარტი – ეკონომიკური დანაშაულები.
- 4–5 მარტი – ტრენერთა ტრენინგი სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა.
- 6 მარტი – მოწმის დაკითხვის ახალი წესი.
- 7 მარტი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში.
- 10 მარტი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა.
- 10 მარტი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.
- 13 მარტი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები.

13–14 მარტი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.

15 მარტი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა.

15–16 მარტი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.

16 მარტი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.

17–18 მარტი – ტრენერთა ტრენინგი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები.

20–21 მარტი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.

23–24 მარტი – დისკრიმინაციასთან ბრძოლის ევროპული სტანდარტები.

24 მარტი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები.

28–29 მარტი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.

#### ქუთაისი

14 მარტი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები.

22 მარტი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში.

#### ბათუმი

9 მარტი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში.

19 მარტი – მედიაცია.

20 მარტი – მედიაცია.

#### თელავი

9 მარტი – შეზრუდული სესამღებლობების მქონე პირთა უფლებები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 555070786 / 555010605 / 555007708 ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

### თბილისი

ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

ტელ.: (+99532) 222 46 54

ელ. ფოსტა: [info@gba.ge](mailto:info@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### ქუთაისი

ნოდარ დუმბაძის ქ. N8

ტელ.: (0431) 247 247

ელ. ფოსტა: [info.qutaisi@gba.ge](mailto:info.qutaisi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### თელავი

ვარდოშვილის 15

ტელ.: (0350) 272 015

ელ. ფოსტა: [info.telavi@gba.ge](mailto:info.telavi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22

ტელ.: (0422) 29 29 02

ელ. ფოსტა: [info.batumi@gba.ge](mailto:info.batumi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: [education@gba.ge](mailto:education@gba.ge) / [sascavlocentri@gba.ge](mailto:sascavlocentri@gba.ge)

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე

შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33